ხელშეკრულება №10.27/10/116
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **21 დეკემბერი 2017 წელი**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის ბექა მიქაუტაძის** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ მამუკა კეშელავა** ს/კ 62007000481 - (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის შენობაში არსებული: ა) დაზიანებული ცხელი წყლის პლასტმასის მილისა (50 მმ) და მუხლის შეკეთება, თანმდევი მომსახურებით;**
ბ) შენობის უკანა მხარის შემოსასვლელი რკინის კარის დაზიანებული საყრდენის დემონტაჟი-მონტაჟი;
გ)გათბობის სისტემის ტექნიკური შეკეთების მომსახურება(გათბობის ქვაბის გაზის რეგულატორისდარეგულირება). (კლასიფიკატორის კოდი: CPV-50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.)

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **280,00 (ორასოთხმოცი) ლარს,** თანდართული ფასების ცხრილის შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. **ხარისხი და გარანტია**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება და მიწოდებული ნაწილები დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; მიწოდებული ნაწილები (მასალები) იქნება ხარისხიანი და ქარხნული.
3.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს მიმსახურების მიწოდებიდან 6(ექვსი) თვეს. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით შეაკეთოს შესყიდვის ობიექტი ან საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს ახლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3(სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ:

- ნათია სორდია - გლდანის რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი
- ჯუმბერი მოდებაძე - შტატგარეშე მოსამსახურე.

5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 26 დეკემბერი.
5.2 მიწოდების ადგილი- ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1[3] (გლდანის რაიონის გამგეობა).

6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტში მითითებული პირები.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში

7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

8 ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისა-თვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები.

10.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 % ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,3 % ოდენობით.

10.3 მიწოდების ვადის 5(ხუთი) სამუშაო დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან ერთად დაეკისრება ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება,რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ

12.4 შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14 გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15 შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16 გადასახადები და დაბეგვრა

16.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18 სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან).

19.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
გლდანის რაიონის გამგეობა	**ი/მ მამუკა კეშელავა**
მის: ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის ქ. #1გ	მის: ქ. თბილისი, ვაზისუბნის მე-2 მ/რ სმც 95
ს/კოდი: 209466843	ს/კოდი: 62007000481
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა"	ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	ა/ა № GE59BG0000000713649700
ტელ: +995 32 318 980	ტელ. +995 593 345 341
გამგებელი ---------- **ბექა მიქაუტაძე**	**ი/მ** ---------- **მამუკა კეშელავა**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2017 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის „21" დეკემბრის №10.27/10/116 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის შენობაში არსებული: ა) დაზიანებული ცხელი წყლის პლასტმასის მილისა (50 მმ) და მუხლის შეკეთება, თანმდევი მომსახურებით; ბ) შენობის უკანა მხარის შემოსასვლელი რკინის კარის დაზიანებული საყრდენის დემონტაჟი-მონტაჟი; გ) გათბობის სისტემის ტექნიკური შეკეთების მომსახურების(გათბობის ქვაბის გაზის რეგულატორისდარეგულირება).** (CPV-50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (ი/მ მამუკა კეშელავა) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი:

ბ.მიქაუტაძე ----------

ხელშეკრულების შესრულებასა და

კონტროლზე პასუხისმგებელი პირი:

ნ. სორდია ----------

ჯ. მოდებაძე ----------

მთ. სპეციალისტი შესყიდვების მიმართულებით

თ. გელაშვილი ----------